გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს!

ამ დღის სიმბოლურად აღნიშვნასთან ერთად, ჩვენი ამოცანაა, უზრუნველვყოთ თანასწორობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, შევქმნათ თანაბარი შესაძლებლობები და თანასწორი მომავალი. გენდერული თანასწორობა საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებული ღირებულებაა. ეს თავის მხრივ ყველა დონეზე და ყველა სფეროში ქალთა ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებას გულისხმობს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ქალთა ხმის გაძლიერებაა! ვინაიდან, ქალთა ჩართულობა და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია. გენდერული თანასწორობის გაძლიერებით, ჩვენ ვქმნით უკეთეს მომავალს ჩვენი ქვეყნისთვის.

გიორგი სახოკია,
გურიის სახელმწიფო რწმუნებული

გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს გილოცავთ ქალბატონებს!

თქვენი როლი უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაზაფხულივით ფერად და სიხარულით სავსე დღეებს გისურვებთ, გქონოდეთ წარმატებები და წინსვლა, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადო საქმიანობაში.

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დღეს სილამაზის დღესასწაული, ქალთა საერთაშორისო დღეა!

გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო, თქვენ სამყაროს უკეთესს ხდით.

გისურვებთ წარმატებებს, სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას!!!

კოსტანტინე შარაშენიძე
ოზურგეთის მერი

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 5 (10376) 8 მარტი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

მაღაზია „ნიპტუნი“

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს! ხელსაყრელი ფასები; მომსახურების მაღალი კულტურა

მის: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15

რ

„ოზურგეთში ალუმინის ქარხანა არ აშენდება“

ალიონი. გასულ კვირაში, სოფელ მაკვანეთში სოფლის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომდგენელთა კრება გაიმართა, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ესწრებოდა.

ინფრასტრუქტურული საკითხების ამოწურვის შემდეგ, მაკვანეთელმა **ნუგზარ კალანდარიშვილმა** თანასოფლელებს ქ. ოზურგეთში, ექადიის უბანში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება სოფელ მაკვანეთს, ფერადი ლითონების ტოქსიკური ქარხნის აშენების შესახებ მიმართა.

—ოზურგეთში ინდური კომპანია „მანსაროვარი“ და „არერსა მეთალი“ ფერადი ლითონების (ალუმინის) გადამამუშავებელი ქარხნის აშენებას აპირებს, რაც საშიშროებას შეუქმნის ჩვენს სოფელსაც. 25 იანვარს, ჩვენ, მაკვანეთელებიც ვიყავით ოზურგეთში გამართულ საპროტესტო აქციაზე. მინდა ჩემმა ყველა თანასოფლელმა იცოდეს იმ საშიშროების შესახებ, რაც ასეთი საწარმოს აგებას შეიძლება მოჰყვეს. ეს საწარმო ოზურგეთში არ უნდა აშენდეს —მიმართა თანასოფლელებს ნუგზარ კალანდარიშვილმა.

—მე ხალხის გვერდით ვდგავარ. არ აშენდება ალუმინის ქარხანა ოზურგეთში —უპასუხა კალანდარიშვილს **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

▶▶▶ გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ოზურგეთში ალუმინის ქარხანა არ აშენდება“

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გაზეთ „ალიონს“ მაკვანე-თელიგია ქვეითაია ესაუბრა: –რამდენიმე წელია პოლონეთში ვცხოვრობ. ცხოვრებამ მოიტანა ასე, იქ ვმუშაობ და ოჯახს ვეხმარები. სხვადასხვა სამუშაოებს ვასრულებ, მათ შორის სამშენ-ებლო-სამონტაჟოსაც. ვარშავიდან აღმოსავლეთით, ბელორუსიისკენ 130 კილომეტრში წაგვიყვანეს წყლის მილების შესაცვლელად. ადგილზე მისულები გაკვირვებულნი დავრჩით იმით, რომ ქარხნის გარშემო (სადაც უნდა შეგვესრ-ულებინა სამუშაო) არც ბალახი იყო და არც ხეები. ყველაფერი გადახრუკული იყო. გვითხრეს, რომ ჩვენ ალუმინის ქარხანაში ვიყავით და იქ უნდა შეგვესრუ-ლებინა სამუშაოები. ისეთი გარემო იყო, ხანდახან სუნთქვაც კი გვიჭირდა. ცხელი და ცივი წყლის მილები შევცვალეთ. სამუშაოები ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყოველი დღის ბოლოს ვარშავაში ვბრუნდებოდით, ღამის გასათევად. გრძელი გზა გვქონდა გასავლელი, მაგრამ ჩვენი უსა-ფრთხოება უფრო მნიშვნელოვანი იყო. აქ რამ მოაფიქრებინათ ასეთი საშიში საწარმოს აგება – გვითხრა **გია ქვეითაიამ.**

სუპერმარკეტი „მოდერნი“ დააყაჩაღეს

პარასკევს, დილის 8 საათზე, ქ. ოზურგეთში, სუპერმარკეტი „მოდერნი“ დააყაჩაღეს. არსებული. ინფორმაციით, სუპერმარკეტში ნიღბიანი პირი შეიჭრა და 1000 ლარამდე ოდენობის თანხა წაიღო. ბოლო ერთ წელიწადში აღნიშნული სუპერმარკეტის დაყაჩაღების მეორე შემთხვევაა.

–დილით, სიგარეტის საყიდლად შევედი. თანხა გადავიხადე და როგორც კი შენობიდან გამოვედი, ატყდა-წივილ კივილი. თქვეს, რომ „მოდერნს“ აყაჩაღებდნენ – გვითხრა გ.გ-მ.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. .

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ცვლილებები დადგენილებებში, ახალი განკარგულებები

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4 მარტის სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ 2020 წლის 30 აპრილის №8 დადგენილებაში *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“*. დოკუმენტი სრულყოფილად შეგიძლიათ იხილოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე.

საკრებულომ მიიღო დადგენილება *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების თაობაზე“*.

ცვლილებები შეიტანეს *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“* ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №21 დადგენილებაში.

მხარი დაუჭირეს *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების შესახებ“* ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №26 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

ოზურგეთის მუნიციპალიტატის საკრებულოს ახალი დადგენილებით ცვლილებებია *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესახებ“* ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №22 დადგენილებაში.

მიიღეს განკარგულება *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტებისა და ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“* – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას; ასევე *„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“* – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021-2022 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.“

საბავშვო ბაღებში სწავლა განახლდა

გურიის რეგიონში მოქმედ ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით განახლდა. საბავშვო ბაღებში განახლებულ სასწავლო პროცესს სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი სახოკია** გაეცნო.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებებმა ფუნქციონირება შეფერხების გარეშე გამართული ინფრასტრუქტურით დაიწყეს, უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება საკვები პროდუქტებით მომარაგება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სტანდარტების შესაბამისად, მოწყობილია სააღმზრდელო ოთახები, საძინებლები, სამზარეულო, სველი წერტილები და გათბობა.

დედის დღე მიულოცეს

დედის დღესთან დაკავშირებით სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი სახოკიამ ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში მოქმედი საოჯახო ტიპის სახლების დედობილებს დღევანდელი დღე მიულოცა.

რწმუნებულმა, აგრეთვე, დედის დღე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ მრავალშვილიან დედასაც მიულოცა.

სამგლოვიარო განცხადება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა იუწყება ყოფილი თანამშრომლის, დირექტორის მოადგილის, ბატონი **კუკური ყაზაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ძიმითის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მასწავლებლის **იამზე ჩიგოგიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რა პრობლემები აწუხებს მაკვანეთელებს?

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მაკვანეთი მდიდარია თავისი ისტორიით და ტრადიციებით, ლამაზი უბნებით და განუმეორებელი ფოლკლორით. ერქომაშვილეები,თოიძეები, სიხარულიძეები, გოლიაძეები, იობიშვილები და ა.შ მსოფლიოში რომ გაუთქვეს ქართულ ფოლკლორს სახელი.

ქვემო და ზემო მაკვანეთი, გოგიეთი–აი ეს სოფლები შედის მაკვანეთის თემში, რომლის შუაგულში ლამაზი მდინარე აგიდაყვა მიედინება.

ფოლკლორი ვახსენეთ, მაგრამ სოფლის ცენტრში მისულ სტუმარს გულს მოუკლავს გურიაში ერთ-ერთი საუკეთესო კულტურის სახლის შენობის მძიმე მდგომარეობა, ნაწილობრივ გადაუხურავი და ნაწილობრივ ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობა, რომლის რეაბილიტაციის შესახებ 7 თუ 8 წლის წინ მოვისმინეთ სოფლის კრებაზე. გვითხრეს 2014 წელს კულტურის სახლის შენობა გადაუხურავთ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, შენობის ნაწილი კვლავ სახურავის გარეშეა დარჩენილი..

კიდევ ერთი კულტურული ობიექტი სოფელ მაკვანეთში, ნაკაშიძეების გორაკზე მდებარე ***არტემ ერქოაიშვილის სახელობის სიმღერა-გალობის მუზეუმია,*** სადაც უნდა განთავსდეს საგამოფენო ექსპონატები და საგალობლების ფონდ-საცავი, მაგრამ მშენებლობის დროს დაშვებული შეცდომების გამო მუზეუმი არ ამოქმედებულა.

დღეს, რაც სოფლისთვის ყველაზე სასიხარულოა, შენდება ჭალის უბნის 1760 მეტრი სიგრძის ასფალტირებული გზა, (მშენებელი „გზამშენი 18“),რომლითაც სოფლის ცენტრიდან ნაკაშიძის გორაკს (ეკლესია, მუზეუმი) დაუკავშირდებით და გოგიეთის უბანსაც.

დღეს სოფლის ცენტრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** სოფელ მაკვანეთის სამივე უბნის მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდა. წელს სოფლის პროგრამით და მუნიციპალიტეტის დაფინანსებით (50-50 %) სოფლისთვის 84 ათასი ლარია გამოყოფილი.

მერის მცდელობას, მაკვანეთლებს თავიანთი პოზიცია გამოეხატათ სოფლისთვის გამოყოფილი თანხის მობილიზაციით კულტურის სახლის გადასახურად და ამით შენობის გადასარჩენად, უშედეგო აღმოჩნდა.

–რამდენი ლამაზი ღონისძიება გამართულა კულტურის სახლში. აქ იყო მუსიკალური სკოლა,ამბულატორია – შეახსენა ადგილობრივებს მუსიკათმცოდნე და პედაგოგმა **ეთერ პავლიაშვილმა...**

სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის **ბექა თოიძის თქმით,** სოფლის ცალკეულ უბანში სხვადასხვა პრობლემაა მოსაგვარებელი. კრების გამართვის წინა პერიოდში იგი სოფლის ყველა უბნის მოსახლეობას შეხვდა და ამ ხალხს არ დაუფიქსირებია კულტურის სახლის საკითხი, სოფელს ამ ეტაპზე უფრო აუცილებელი პრობლემები აწუხებს, ამიტომ ამ ეტაპზე კულტურის სახლი მოიცდის – თქვა მან.

– მუნიციპალიტეტის ჰყავს ტექნიკა და გზის გვერდული არხების ამოწმენდას, შიდა გზების მოხრეშვა-გასწორებას მუნიციპალიტეტის ძალებით გავაკეთებდით –უთხრა ბექა თოიძეს და იქ შეკრებილთ მუნიციპალიტეტის მერმა.

– ჭალის გაღმა უბანში ზემოდანაც (გოგიეთიდან) და ქვემოდანაც (ზემო მაკვანეთი) ბეტონი გზაა დაგებული, ჩვენი 70-მეტრიანი მონაკვეთია დარჩენილი, წელს უნდა გაკეთდეს –მიმართა მერს **მალვინა ბერსენაძემ.**

–ორი თვის წინ ჩაიდო ორი მილხიდი ჩვენს უბანში (ზემო მაკვანეთი), მაგრამ იმის გამო, რომ არ მოეწყო ცხაური, წვიმისას წყალი კვლავ გზაზე გადმოდის –განაცხადა **არჩილ ბერსენაძემ.**

სანიაღვრე არხების მოწყობა და მოხრეშვის საკითხი დააყენა **გოგი ბილიხოძემაც.**

სოფლის ამბულატორიის ექიმმა **ბაბო ინწკირველმა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიმართა თხოვნით, რომ საექიმო უბანში წყალი ჩამოდის და აუცილებელია სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო.

–მე ვფიქრობ, არაა გამართლებული ამ შენობის რემონტში თანხის ჩადება. ძალიან დიდი თანხაა საჭირო. საერთოდ დასანგრევია ადმინისტრაციული შენობა. სხვა რამეა მოსაფიქრებელი –უპასუხა მერმა.

პასუხით უკმაყოფილო ექიმმა შეხვედრა დატოვა.

მაკვანეთლების ერთი ჯგუფი ლეკიანში ყანის შემოღობვაზე ითხოვდა დახმარებას.

–ადრე იყო, ახლა სოფლის პროგრამა ყანების შემოღობვას არ ითვალისწინებს. ტექნიკით დაგეხმარებით –დაპირდა მათ მერი.

შეხვედრაზე მაკვანეთის ცენტრში მდებარე შინმოუსვლელთა



მემორიალის გარემონტებაზე იყო საუბარი.

– გასული საუკუნის 90-იან წლებში მოიპარეს აქ სპილენძის თხელი ფირფიტები, რომელზეც ომში დაღუპულთა სახელი და გვარები იყო ამოტვიფრული. შემდეგ მემორიალის წინ აიღეს ფილები –თქვეს მაკვანეთელებმა.

აქ შეკრებილები გულწრფელად და ღიად საუბრობდნენ სოფლის პრობლემებზე.

–ძალიან კარგია, რომ ნასაკირალში, გურიანთაში და სხვაგან საექიმო უბნებს კარგი შენობები აუგეს. ასეთივე სოფელია მაკვანეთიც. 12 წლის წინ რომ გადმოგვიყვანეს ადმინისტრაციულ შენობაში, არ ვიყავით ცუდ პირობებში, მაგრამ 3 წლის წინ სახურავიდან წყალმა დაიწყო ჟონვა. არ შეკეთდა. ახლა უფრო მძიმე მდგომარეობაა. დღეს მთავრობის პრიორიტეტი პირველადი ჯანდაცვაა. „კოვიდ 19“-მა მეტი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა. ასეთ პირო-ბებში მუშაობს გვიჭირს – უთხრა გაზეთ „ალიონს“ კრების შემდეგ ექიმმა **ბაბო ინწკირველმა**.

–პრობლემები არის, მაგრამ არც იმის დაუნახაობა შეიძლება, რაც სოფელში კეთდება. ახლა ჭალის უბანში კეთდება ასფალტირებული გზა. წელს ლიხაური (ოქროსმუხურო) -მაკვანეთის გზის მშენებლობის დაწყებას ველოდებით. საექიმო უბანსაც დავეხმარებით – გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომ ადგენელმა მაკვანეთის ტერიტორიულ ერთეულში **ალექსანდრე ბურძგლამ.**

რას სთავაზობს LINKS ცენტრი ახალგაზრდებს

2021 წლის 4 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ წარმომადგენელთა მიერ, გაიმართა პროექტის „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება“ პრეზენტაცია, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, "განათლება დასაქმებისთვის" (**SKills4Jobs**) პროგრამის ფარგლებში, საქართველოს გაეროს ასოციაციისა (**UNAG**) და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის (**OSGF**) მიერ.

პროექტი მიზნად ისახავს ცოდნის და უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი პლატფორმების, რესურსებისა და ღონისძიებების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდას ოთხ რეგიონში: აჭარა, გურია, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შრომის ბაზრის მონიტორინგი, სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, დასაქმების ფორუმები, დასაქმებისთვის საკვანძო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სახელმძღვანელოების შემუშავება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება და მათ შორის გამოცდილების გაზიარების უზუნველყოფა.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შრომის ბაზრის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; იმ უნარ-ჩვევების განვითარების მხარდაჭერა, რომლებიც ახალგაზრდებს სჭირდებათ, ერთი მხრივ, სამუშაოს დასაწყებად, ხოლო, მეორე მხრივ, სამუშაოს შესანარჩუნებლად და შემდგომი კარიერული განვითარების ხელშესაწყობად. ამ მიზნით 15-29 წლის ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ გახდნენ ცოდნისა და უნარების განვითარების (**LINKS**) ცენტრის წევრები.

ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ემსახურება: შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების ახალგაზრდებისთვის გაცნობას; მათი დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვიარება ტრენინგების, კარიერის დაგეგმვისა და სამუშაოს მოძიებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფის გზით. სამეწარმეო და უწყვეტი განათლების პროგრამებში მონაწილეობით, ახალგაზრდები შეძლებენ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

რას სთავაზობს **LINKS** ცენტრი ახალგაზრდებს: დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარებას; ციფრული და კომპიუტერული უნარების გაძლიერებას;სამოქალაქო განათლებას; ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს; სამეწარმეო განათლებას; უწყვეტი განათლების ონლაინ რესურსებზე წვდომას; მოძრავ სახალხო უნივერსიტეტში მონაწილეობას; კონსულტაციებს კარიერის დაგეგმვის მიმართულებით; ანაზღაურებად დასაქმების პროგრამას შერჩეული კანდიდატებისთვის; სამუშაოს მაძიებლების საერთო ბაზით სარგებლობას; სოციალურად მნიშვნელოვანი ბიზნეს იდეების დაფინანსებას;

შერჩეულმა პირებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. პროგრამაში მონაწილეობა უფასოა. შერჩეულ მონაწილეებს მიეწოდებათ დამატებითი ინფორმაცია.

შეხვედრის მიზანი გახლდათ პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკრებულოს წევრებისთვის, მათი ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლებისთვის.

„სამკუთხა“ სკვერში სამუშაოები მიმდინარეობს

სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი სახოკიამ ქალაქ ოზურგეთში სამკუთხა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება, რომლის ღირებულება 1,864,675 ლარს შეადგენს. სამუშაოებს შპს „ქართლი“ ახორციელებს.



მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული გლობალური პრობლემა ძალადობაა ქალების და ბავშვების მიმართ

პროექტი **„ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენცია“**-ხორციელდება „საქველმოქმედო კავშირი-ქალთა ცენტრის და ძდექ-ის გურიის რეგიონალური კომიტეტის თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში სკოლის პედაგოგებისა და საბავშვო ბაღების აღმზრდელთათვის კაჭრეთში ,სასტუმრო „ამბასადორში“, ჩატარდა სამ დღიანი ტრენინგების კურსი, რომელსაც უძღვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები: **ია ვერულაშვილი**,პროფესორი, ორგანიზაცია **„კავშირი-ქალთა ცენტრი“.**

„ბავშვთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობის ნაადრევი იდენტიფიკაციის მეთოდების გამოყენება და ინტერვენციის მექანიზმები“,I დღე;

ჯანა კახიანი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;*

„ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფსიქო- ემოციური სფეროს დიაგნისტირების და თერაპიული მუშაობის მეთოდები, მათი მშობლების კონსულტირების სტრატეგიები“, II დღე;

ეთერ ცხაკაია, *ორგანიზაცია „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა“;*

„სოციალური მუშაკის როლი და პასუხისმგებლობა,ბავშვზე ძალადობის პრევენციისა და ოჯახის გაძლიერების მექანიზმები“, III დღე.

აღნიშნულ საკითხებზე კომპეტენტური ექსპერტების მიერ გაზიარებული მასალები, ვფიქრობთ, გაზეთის საშუალებით უფრო ფართო წრეებისათვის გავხადოთ ხელმისაწვდომი, სწორედ ამ მიზნით გთავაზობთ ტრენინგზე განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვას.

ქ- მა ია ვერულაშვილმა აღნიშნა, რომ ძალადობის პრობლემის გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე, მას არ გააჩნია ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური კუთვნილება. ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ინდივიდის, ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ძალადობა ყოველთვის იყო საზოგადოების არსებობის ნაწილი,ყოველწლიურად, მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება დედამიწაზე. ხოლო მრავალმა ადამიანმა მიიღოს ხვადასხვა სახის დაზიანებები საკუთარისი ცო-ცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის გამო, ინტერპერსონალური და კოლექტიური ძალადობის შედეგად.

პირველად ბავშვზე ძალადობის პრობლემის განხილვა დაიწყო 1961 წელს,როდესაც ამერიკის პედიატრიის აკადემიის ყოველწლიურ შეხვედრაზე **ჰ.კემპემ** მოახსენა *„ნაცემი ბავშვის სინდრომის ყოვლისმომცველი ანალიზი“*. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ავტორმა დეტალურად წარმოადგინა პრობლემის პედიატრიული, ფსიქიატრიული, რენტგენოლოგიური და იურიდიული ასპექტები და პირველად წარმოადგინა შემაჯამებელი სტატისტიკა ბავშვებზე ძალადობის გავრცელების შესახებ შეერთებულ შტატებში.

1989 წელს მიღებულ იქნა გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“

- *2006 წელს საქართველოს პარ-ლამენტმა მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის , ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისშ ესახებ;*
- *2010 წელს- კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;*
- *2010 წელს -საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე.*

2020 წლის 1 სექტემბრიდან კი შევიდა ძალაში „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“ რომლითაც შეიქმნა ბავშვთა უფლებები დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

ბავშვზე ძალადობის ყველაზე დრამატული ფორმაა ოჯახური ძალადობა. ბავშვი შეზღუდულ სივრცეშია, არ არსებობს რესურსი და შესაძლებლობები სიტუაციის შესაცვლელად, რაც აუცილებლად და შეუქცევადად ამახინჯებს ბავშვის ფსიქიკას და ართმევს მას შესაძლებლობას, გახდეს სრულფასოვანი პიროვნება.

ძალადობა ბავშვის მიმართ გავლენას ახდენს განვითარების ველა ასპექტზე:

- *დადგენილია ის ფაქტი, რომ თუ დედა ძალადობის მსხვერპლია ორსულობის პერიოდში, ბავშვი იბადება ჯანმრთელობის დარღვევებით, მათ შორის ნეიროენდოკრინული დაავადებებით, და მომავალში თავად შეიძლება გახდეს მოძალადე.*
- *არღვევს ფიზიკურ ჯანმრთელობას,*
- *ინტელექტუალურ განვითარებას,*
- *ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებას,*
- *სოციალურ უნარ-ჩვევებს. აღნიშნული განპირობებულია თავის ტვინის სპეციფიურ უბნებზე ქრონიკული სტრესის ზემოქმედებით და შესაბამისი სტიმულაციის დეფიციტით.*
- *ბავშვების რეაქცია ძალადობაზე განსხვავდება ასაკის, სქესისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ ყველა ის ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმე და სამიზნეა, ხასიათდება სერიოზული ქცევითი პრობლემებით. ამან შესაძლოა, გამოიწვიოს ფსიქიკური დაავადებები ცხოვრების მანძილზე.*
- *ბავშვი ხდება ჩაკეტილი, ის განიცდის კოშმარებსა და შიშებს. ეს ბავშვები პრობლემებს აწყდებიან ცხოვრების შემდეგ ეტაპზეც, რადგან ოჯახში არ აქვთ ნორმალური ქცევის მაგალითი.*
- *ემოციური ტრავმა ხშირად გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე: ბავშვს, შესაძლოა, განუვითარდეს „ტიკები“, ენურეზი, ყურადღების და მეტყველების დარღვევები, ჰიპერ - კონტროლი.*

ფიზიკური ძალადობის გავლენა ფსიკიკაზე:

- *უფროსებთან კონტაქტის შიში;*
- *უმიზეზო ტირილი;*
- *აგრესიულობა;*
- *სისასტიკე ცხოველების მიმართ;*
- *მეგობრების ნაკლებობა;*
- *თვითმკვლელობის მცდელობა.*

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებში ქცევის 2 ძირითადი მოდელი ყალიბდება

მოძალადის ტიპი (საკუთარ თავ მოძალადესთან აიგივებს და თვითონაც აგრესიულ, შემტევ როლს ირჩევს. ბავშვთა ეს ჯგუფი აგრესიას უფრო სუსტი ბავშვების ან ცხოველებისკენ მიმართავს. მათი აგრესიულობა შეიძლება გამოვლინდეს თამაშის დროს.

მსხვერპლის ტიპი ბავშვი უმწეო, უსუსურ პოზიციას ირჩევს, ვლინდება დათრგუნვა, უინიციატივობა, პასიურობა, სირცხვილის გრძნობა. ბავშვი შესაძლებელია მანიპულირებდეს საკუთარი უმწეობითა და დაჩაგრულობით

•დადგენილია, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები მიდრეკილნი არიან კრიმინალური ქცევისადმი და მოზარდობის პერიოდში ხშირად ავლენენ ძალადობას. კვლევები აჩვენებენ რომ ოჯახში ძალადობა მოზარდთა ძალადობის და კრიმინალური ქცევის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია.

ფსიქოლოგი **ჯანა კახიანი**, მიიჩნევს, *იმისათვის, რომ დავეხმაროთ ბავშვს, პირველ რიგში აუცილებელია ფსიქოდიაგნოსტიკა,სწორედ ბავშვის ემოციური სფეროს დიაგნოსტიკისა და განვითარების ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს ფსიქოთერაპიული დახმარება და კონსულტაციები, ბავშვთან და მშობლებთან. მან ტრენინგის მონაწილე პედაგოგებს და ფსიქოლოგებს გააცნო, თუ როგორ უნდა იქნას გამოკვლეული ბავშვის ინტელექტი, განვითარების დონე,ე.წ. „ჭკვიანი ტესტებით“.*

•WISC (Wechsler Test).

•რეივენის პროგრესირებადი მატრიცა (ე.წ. „ჭკვიანი ტესტები“).

ბავშვის შესაძლებლობების განსაზღვრა, ოჯახური ურთიერთობების დიაგნოსტირება (გრაფიკული ტესტები),ნახატი, იძლევა რეალურ სურათს, როგორია ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გაუცნობიერებელი ან ფარული პრობლემები, მისი დამოკიდებულება ოჯახის თითოეული წევრის მიმართ და მთელი ოჯახის აღქმა.

ტესტი „დაუსრულებელი წინადა-დებები“ /, **Sachs-Levy testi** / იკვლევს ბავშვის დამოკიდებულებას: მშობლების, ძმების, დების, ბავშვების არაფორმალური და ფორმალური ჯგუფების, მასწავლებლების, სკოლის, საკუთარი შესაძლებლობების მიმართ,

ბავშვთა აპერცეპციის ტესტის (**CAT**) / ლ. ბელაკი / საშუალებით შეიძლება შეიძლება გამოვიცნოთ:

•*წამყვანი საჭიროებები და მოტივები;*

•*ბავშვის აღქმისა და დამოკიდებულების თავისებურებები მშობლების მიმართ;*

•*ბავშვის და-ძმასთან ურთიერთობის თავისებურებები;*

•*ინტრაპერსონალური კონფლიქტების შინაარსი;*

•*დამცავი მექანიზმების თავისებურებები, როგორც შიდა კონფლიქტების მოგვარების გზები;*

•*იმედგაცრუების სიტუაც-იებთან დაკავშირებული აგრესიული ფანტაზიები, შიშები, ფობიები, შფოთვა;*

„შფოთვის ტესტი “აირჩიე საჭირო სახე“/რ. ტამლი, მ. დორკი, ვ. ამენ/,გამოიყენება ბავშვის შფოთვის შესასწავლად სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის არაერთ ტიპურ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავში-რებით.

შფოთის ხარისხის დადგენა ავლენს ბავშვის შინაგან დამოკიდებულებას გარკვეული სიტუაციის მიმართ, იძლევა არაპირდაპირ ინფორმაციას ბავშვის, საბავშვო ბაღის ბავშვებში თანატოლებთან და მოზარდებთან ურთიერთობის ხასიათის შესახებ.

ლუშერის ფერთა ტესტი გამოიყენება ემოციური მდგომარეობისა და ნეირო-ფსიქტიკური სტაბილურობის დონის შესაფასებლად; ინტრაპერსონალური კონფლიქტების იდენტიფიცირება და დეპრესიული მდგომარეობებისა და აფექტური რეაქციებისკენ მიდრეკილება.

ტესტი „კიბე“- პასუხს სცემს ბავშვის თვითშეფასებას: როგორ აფასებს ის მის პირად თვისებებს, მის ჯანმრთელობას, გარეგნობას, მის მნიშვნელობას გუნდში (საბავშვო ბაღების ჯგუფი, სკოლა, კლასი).

როგორც ქალბატონი ჯანა ამბობს დიაგნოსტიკის შედეგად იქმნება სათანადო წარმოდგენა ბავშვის მდგ-ომარეობაზე, და იწყება ბავშვის ტრ-ამვის მკურნალობა.

„ბავშვობის ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგები ხშირად მოზრდილ ასაკში გრძელდება და შეიძლება გადაეცეს შემდეგ თაობასაც. ბავშობაში გადატანილი ბულინგი, ძალადობა, დანაკარგი, მწუხარება ან უგულებელყოფა ზრდის დამოკიდებულების, დეპრესიული აშლილობის და სხვა ფსიქიკური პრობლემების რისკს.

ბავშვთან მუშაობის ერთ ერთი მთავარი და ყველაზე გამოცდილი მეთოდი დღეისათვის არის არტ-თერაპია, „შემოქმედებით პროცესში ჩართული ბავშვი ვერ ამჩნევს, თუ როგორ ამყლავნებს იგი მის ნამდ-ვილ გრძნობებსა და სურვილებს გარესამყაროში.“

საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებთან ძირითადად გამოიყენება ხატვა ძერწვა, ცეკვითი და მუსიკალური თერაპია, ზღაპრის თერაპია, ქვიშით თერაპია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თამაშს , როგორც თერაპიის მეთოდს, არა მარტო ტრავმირებული ბავშვის შემთხვევაში, არამედ , ზოგადად, „თამაშში ბავშვი თავისუფლად გამოხატავს თავის გრძნობებს - სიხარულს, მწუხარებას და სიბრაზესაც, ანუ თამაშში ხდება ნეგატიური ემოციებისგან, გრძნობებისგან განთავისუფლება.

თამაში ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ და კოგნიტურ განვით-არებას, მოტივაციური სფეროს განვითარებას, კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას“

ქ- ნი ჯანა აღნიშნავს, რომ ბავშვის ტრავმის მიზეზი ხშირად ხდებიან მშობლები, რომელთაც არა აქვთ პოზიტიური აღზრდის გამოცდილება, ამიტომ ისინი შვილებს გადასცემენ გამოცდილებას, რაც ბავშვობაში მიიღეს. „მნიშვნელოვანია როგორც ბავშვების, ისემოზრდილების განათლება და მომზადება - საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ძალადობა არ არის ნორმა“.

ბავშვების სოციალური და ცხოვრებისეული უნარების სწავლებისთვის აუცილებელია უსაფრთხო გარემოს შექმნა,ასევე აუცილებელია კარგად განსაზღვრული უწყებრივი პასუხისმგებლობა ძალადობაზე რეაგირებისთვის.

ასეთ პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტო. ქ-მა **ეთერ ცხაკაიამ** უწყებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ *ძალიან კარგი შედეგები აჩვენა სოციალური მუშაკების პროგრამამ, რომლებიც აცნობენ მშობლებს შვილებზე ზრუნვის მეთოდებს და ასწავლიან თუ როგორ იმოქმედონ, რათა ბავშვი ოჯახში ძალადობას არ განიცდიდეს. თუმცა სამწუხაროდ, ფსიქოლოგები და სო-ციალური მუშაკები არცთუ იშვიათად აღმოაჩენენ, რომ ბავშვის ფიზიკური განვითარება არ შეესაბამება მის ასაკს - ბავშვი ვერ მეტყველებს ასაკის შესაბამისად, ფიზიკური განვითარება ჩამორჩება და ზედმეტად გამხდარია, ეს ფაქტორი შესაძლოა მიუთითებდეს მშობლის მხრიდან უგ-ულებელყოფაზე, ან მიუთითებდეს საკვების ნაკლებობაზე ,ბავშვი არ არის მოვლილი;ბავშვი ასაკისთვის შეუფერებელ შრომაშია ჩაბმული , ბავშვზე რაიმე ფორმით ხორციელდება ძალადობა.*

სავარაუდო ეჭვის დროს სოციალური მუშაკი ახდენს შესაბამის რეაგირებას და შემთხვევას განიხილავს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის სხვა წევრებთან ერთად. თუ ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებით არის სავარაუდო ეჭვი, მაშინ ხდება შეფასების გაგრძელება და ბავშვის/ოჯახის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

- *ბავშვის შესაძლო ზიანის რისკის შეფასების შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, ეცნობება ბავშვზე ზრუნვის სააგენტოს,ასევე განიხილება სხვა სტრუქტურებთან გადამისამართებაც;*

•*ასევე მნიშვნელოვანია რომ არსებობს ოჯახის თანადგომის ქსელი რომელიც უწევს ოჯახს ფსიქო-ემოციურ, მატერიალურ, ფინანსურ მხარდაჭერას, საოჯახო/სამეურნეო საქმიანობაში მხარდაჭერას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აწარმოებს ბავშვზე ზრუნვა/მეთვალყურეობას;*

ბავშვისა და ოჯახის თანადგომის ქსელი წარმოადგენს ბავშვის უგულებელყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს.

ბავშვზე ზრუნვა, ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა, ყველა პედაგოგის და აღმზრდელის უპირობო მოვალეობაა, პრობლემებზე თვალის დახუჭვა კი დანაშაულია, რადგან ყველა გზა დაკარგული, გზააბნეული, აგრესიული თუ დაცარგული ადამიანის ყოფა, ბავშვობაში მიღებული ფიზიკური და ემოციური ტრავმის გაგრძელებაა.

მასალა მოამზადა
მაია ბერიძემ,
ძდექ-ის გურიის რეგიონალური
კომიტეტი
დაფინანსებულია

ექსკლუზივი

ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ. გაზ. „ალიონი“ №№ 34, 35, 36 2020 წ. №№1-4 2021 წ

— თამაზ თუ ძალიან დაკავებული არ ხარ, გადმოდი ჩემთან.

ხუთ წუთში მილიციის უფროსი და პროკურორი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და მორიგ სამოქმედო გეგმაზე მსჯელობდნენ.

— ხულოს და აჭარის საკითხი დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას. თუ დამნაშავეები აქ არიან, მათ ეცოდინებათ, რომ ანთიძე დაკავებულია და ტანსაცმლის ამბავიც დაფქული აქვს. ორი ვარიანტი რჩება — ან ვინმესთან თავს აფარებენ, ან უკვე დატოვეს რაიონის ტერიტორია.

— ორ დღეში სრული ინფორმაცია მექნება, კიდევ ვისთან მეგობრობდნენ ისინი.

— თამაზ, რაც შეიძლება ფრთხილად.

— ახლავე დაიწყებენ მოკვლევას, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ გაგვასწრეს აქედან.

— საფუძველი?

— „სერი“ ძალიან ეშმაკია, არ გაჩერდებოდა მკვლელობის შემდეგ აქ და წინასწარ ექნებოდა გათვლილი წასვლაც.

— ქალები?

— ჰო, ესაა ყველაზე ტვინის ამრევი. ასეთები ქალებს არ ენდობიან, იციან მათი ხასიათი, მალე ტყდებიან, ვერ უძლებენ პრესს. თავისუფლებაზე როცა არიან, კიდევ შეიძლება რაღაც დოზით ენდონ, მაგრამ ეს მაგათთვის სველი საქმეა და რა გითხრა, რა გათვალეს გარეწრებმა.

— ტაქსის მძღოლებზე წაიმუშავე?

— აბსოლუტურად ყველა გამოიკითხა „შინაურულად“, ხმაური რომ არ ატეხილიყო. არავინ ადასტურებს სოფლიდან ოთხი ადამიანი გადაყვანას, სურათებიც აჩვენეს.

— სად უნდა წასულიყვნენ?..

— წავედი, მამუკა. დავალებას მივცემ ბიჭებს...

...

— სოსო და ბიჭიკო შემოვიდნენ სასწრაფოდ.

— ახლავე.

ბიჭიკო სალუქვაძე მილიციის საგამოძიებო განყოფილების უფროსი იყო, გამოცდილი კადრი, ყოფილი სამხედრო, ზედმიწევნით წიგნიერი პიროვნება.

— ბიჭიკო, გადაათვალიერე შენი საქმეები, იქნებ სადმე აღმოაჩინო ან გაგახსენდეს ოვანეს მარტიკიანი და გარუნ პოღოსიანი, ან იქნებ მათი მეგობარი რამე საქმეში. დაიკარგნენ, მთელი სამძებრო ეძებს და იქნებ აქედან მოვუაროთ ამ საქმეს.

— ვახტანგიჩ, არ მახსენდება, მაგრამ მოვძებდი.

— თავისუფალი ხარ. ხვალ საღამოს იქნებ რაიმე ახალი ინფორმაცია მომაწოდო.

...

— სოსო, უნდა გადავკეტოთ ყველა გზა, რომ დამნაშავეები არ გაგვექცნენ რაიონიდან, რა თქმა უნდა, თუ უკვე წასულები არ არიან.

— ვმუშაობთ უკვე. ახალ ინფორმაციას ვერ ვიღებ. რაც კი „შავებია“, მომპარავები თუ ქუჩის ბიჭები, ყველა საქმის კურსშია, მილიციელის მკვლელობა მათაც არ მოსწონთ, ბუნებრივია, ზეწოლა მათზე წავა. იციან, მაგრამ...

ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა მათ საუბარი.

— თამაზ, ჩვენმა ინფორმატორმა მომაწოდა ინფორმაცია, რომ უცხო პიროვნებები ნახეს ნატანებში, რომლებიც საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდნენ, ახლდათ ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის სახის გარჩევა საერთოდ შეუძლებელი იყო, რადგან მთლიანად შალით იყო შებუდრული, მამაკაცებს კი ყურებიანი ქუდები ეხურათ. ამბობს, რომ სურათებში ნანახს მიამსგავსა მათი სახეები. ნახვის დრო ემთხვევა ჟღენტის მკვლელობის დროს.

— ახლავე ამოვალ...

— იგივეს გეტყვი, თამაზ. საგამოძიებო პრაქტიკაში ცნობილია, რომ მკვლელი ან დამნაშავე რაღაც დროის შემდეგ უბრუნდება დანაშაულის ჩადენის ადგილს. ადვილი შესაძლებელია და თუ ინტუიცია არ მღალატობს, ისინი რუსეთში წავიდნენ.

— როსტოვში?

— შესაძლოა, როსტოვში, მაგრამ რატომ სამი? ან შესაძლოა სულაც არ იყვნენ ისინი. ოპერატიული მოქმედებები შენ განახორციელე, ამ ინფორმაციის შესაბამისად ჩვენც ვიმუშავებთ.

— კალეიდოსკოპივით იცვლება ყველაფერი, ისევე, როგორც ამინდი.

— ჰო, თითქმის თვენახევრის წინ მოხდა ეს უბედურება, რამხელა თოვლი იდო და ახლა ქალაქში ფაქტობრივად აღარ არის, მაღალმთიან სოფლებშია ცოტა. უცნაური წელი დაიწყო, თამაზ, უცნაური ამინდებით.

— გეთანხმები, მამუკა. ბიჭები დაძაბული არიან, ეს ჩვენი ღირსების საქმეა. თანამშრომელს ლამის თავი მოკვეთეს...

მარტის შუა რიცხვებია. წყლად წასული თოვლი ქუჩებში მოედინება, სანიაღვრე არხები ვერ ატარებს ამდენ წყალს. წყალიც მდინარე ნაბეღვარას უერთდება და მიაქვს ყველაფერი, რაც გზაში ხვდება. ხალხი კანტიკუნტადაა ქალაქში, მიუხედავად მზიანი ამინდისა, უბრალოდ ვერ გაივლი გზაზე. აგერ, „პობედამ“ ვერ შენიშნა გზის ორმო, წინა თვალი ჩაარტყა და გზად მიმავალი ქალი თავიდან ფეხებამდე გაწუწა. თითქოს სასაცილოა, მაგრამ ქალი? მიტრიალდა და უკან დაბრუნდა, ალბათ, სახლში... მამუკა თავისი ოთხიდან უყურებს ყველაფერს. ფიქრებით ბავშვობაში გადაერთო... სულ რაღაც 10 წლის იყო, როცა დედ-მამა აღარ ჰყავდა. დედა მამის გარდაცვალების დარდს გადაყვა, დარჩა სულ პატარა ძმა, ბებია და ბებია. სწორედ ამ ბებიას ღვიძლი და იყო მილიციის საგამოძიებო განყოფილების უფროსის ბიჭიკო სალუქვაძის ბებია. 15 წლისას ბებიაც გარდაეცვალა და ბებიასთან ერთად ეწეოდა სოფლის იმხანად მძიმე შრომას. ნენა, წიგნს დაანებე თავი, ყანაა გასათოხნი, ან კიდევ სხვა საქმე იყო საკეთებელი. მარტო ჩავიდა თბილისში და ნათესავთან ცხოვრობდა თავის ბიძასთან ერთად, რომელიც ორი წლით უფროსი იყო მასზე. თვალებზე ცრემლი მოერია, ძნელი იყო უდედმამოდ გაზრდილი ძმების ბავშვობა, ტელეფონის ზარმა გამოიყვანა ფიქრებიდან.

.— გაიმეორეთ. — თითქმის შეშფოთებულმა ჩაყვირა ყურმილში, — არავინ მიუშვათ, 10-15 წუთში ადგილზე ვიქნებით. — მდივანს უხმო, — ნინა ხარიტონოვნა, სასამართლო ექსპერტი ათ წუთში აქ იყოს.

— ახლავე დავურეკავ, მაგრამ რა გჭირთ, კარგად ხომ ხართ? ადამიანის ფერი არ გადევთ სახეზე. — შეცბა მდივანი.

— მაინც თქვენ მოგიწევთ საბოლოოდ ყველაფრის დაბეჭდვა და ახლა ნუ მომაყოლებ. — რომ ეჩვენებია, არაფერი განსაკუთრებული არ ხდებაო, ყალბი ღიმილით გახედა პროკურორმა...

— თამაზ, სოფელში გავდივართ. კიდევ ერთი გვამია. ჩემი მანქანით წავიდეთ. სოსოს ბიჭები წამოვიდნენ...

დარეკვიდან 20 წუთში სოფელში ავიდნენ სამართალდამცავი ორგანოების პირველი პირები, სასამართლო ექსპერტი, სამი ოპერი და ფოტოგრაფი. იქ მისულებს სოფლის თავკაცი ჩაუჯდა მანქანაში და ხუთ წუთში შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი.

— აი, ამ კაცმა ნახა ეს პირველად. — სოფლის თავკაცმა სტუმრებს მიუთითა ერთ-ერთზე.

— აბა, რა და როგორ იყო? — ჰკითხა პროკურორმა.

— დილით ფიჩხის მოსაგროვებლად წავედი ტყეში, ვიფიქრე, მოვძებნი და ურმით წამოვიღებ, რაც დაეტევა-მეთქი. ვაგროვებდი და ურემზე ვაწყობდი, იქვე, ახლოს უცებ ძაღლი აყეფდა, რომელიც თან მახლდა. მივედი და რასაც ახლა ხედავთ, ის ვნახე თოვლში, ფეხები უჩანდა მხოლოდ. შევშინდი და გამოვიქეცი. დავიდოვიჩთან მივედი და მოვუყევი ყველაფერი. მეტი არაფერი ვიცი.

— გასაგებია. ვისაც სუსტი გული გაქვთ, გთხოვთ, დატოვოთ ტერიტორია. — ფოლადი შეაპარა ხმაში პროკურორმა.

სულ რამდენიმე კაცი გაეცალა იქაურობას. ცნობისმოყვარები დარჩნენ, თვალი რომ ედევნებინათ შემდეგი მოვლენებისთვის.

ფრთხილად წმენდდნენ გვამის ირგვლივ თოვლს, ნელ-ნელა იკვეთებოდა სხეული და რამდენიმე წუთში ასეთი სურათი გამოიკვეთა: ქალი პირქვე ეგდო, სახე სანახევროდ არ უჩანდა. გვამს გარეგნულად ნადირის თავდასხმის კვალი არ ემჩნეოდა, დანარჩენს სასამართლო ექსპერტს დაადგენდა.

იანვრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე ორი მკვლელობა ერთ სოფელში — ასეთი რამ რაიონს არ ახსოვდა. საქმის დროული გამოძიება, მისი ბოლომდე მიყვანა სამართალდამცავების პროფესიონალიზმზე იყო დამოკიდებული, ლოგიკურად მათი ღირსების საქმე იყო ეს...

მილიცია და პროკურატურა მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდნენ. ცალ-ცალკე და ერთად გადიოდნენ მრავალგზის გავლილ საკითხებს. ეს ბოლო ამბავი კი მეხის გავარდნას ჰგავდა.

— როგორც ექსპერტმა გვაუწყა, ქალის სიკვდილი თავის ქალაზე ბლაგვი საგნის დარტყმებმა გამოიწვია. თავის ქალა ფაქტობრივად ჩაჩეჩქვილია, სხვა ძალადობრივი ნიშნები მიცვალებულის სხეულზე არ აღმოჩენილა. დრო არ ითმენს... დღესვე უნდა დავიწყოთ მიცვალებულის ამოცნობა. მას პალტოში და კაბის ჯიბეებში არანაირი საბუთი არ აღმოაჩნდა. ხელჩანთა არ ჰქონია, ან იქნებ მკვლელმა წაიღო. საიდან დავიწყოთ, თამაზ?

— სოფლის მცხოვრებლებიდან, ვინც ახლოს იყო დამნაშავეებთან. იქნებ მოკლული ერთ-ერთი იმ ქალთაგანია რომელიც გარკვეული დროს განმავლობაში ჟღენტის მკვლელობაში ეჭვმიტანილებთან ცხოვრობდა. თან თქვენც ხომ გაცნობეს რამდენიმე დღის წინათ, რომ ნატანების რკინიგზის სადგურში საეჭვოდ შებუდრული ორი მამაკაცი და ერთი ქალი დაინახეს, იქნებ ის ერთი თავიდან მოიცილეს, რომელი და რატომ?

— თამაზ, მეც დავესწრები ამოცნობის პროცესს. დავაჩქაროთ საქმე, 2 საათზე პროზექტურაში მოვალ.

პროკურორი რაიონის პირველ პირთან გაეშურა, რათა ის საქმის კურსში ჩაეყენებინა მომხდარის თაობაზე, მილიციის უფროსი კი — მილიციაში, სადაც ოპერებს უნდა შეხვედროდა.

პროზექტურასთან ორივე ზუსტად 2 საათზე მივიდა, სადაც სოფლის ოციოდე მცხოვრები იყო თავმოყრილი. რიგ-რიგობით შედიოდნენ პროზექტურაში. ეკითხებოდნენ, ეცნობოდათ თუ არა მიცვალებული. პასუხი ერთი იყო — არა!

— ხომ არ ჰგავს ოვანეს მარტიკიანის სტუმარ ქალს?

— ის გარეთ არ გამოდიოდა და სახეზე არ ვიცნობდით.

მილიციის უფროსმა თვალი გადაავლო სოფლიდან ჩამოსულებს და იკითხა:

— ჯემალ ანთიძის ცოლი რომელია?

—არ არის, უფროსო, არ იყო სახლში.

—სად იქნება?

— ქალაქში იყო წამოსული, თქვენი ხალხი რომ ამოვიდა და ამიტომ არ არის.

— თავისუფლები ხართ. თუ საჭირო გახდა, დაგიძახებთ. — მადლობა გადაუხადა ამოსაცნობად მოულებს...

— სოსოს, სამძებრო განყოფილების უფროსს, სოფლიდან სასწრაფოდ ანთიძის ცოლის ჩამოყვანა დაავალა...

— მამუკა, დღეს ბათუმის ციხის უფროსს უნდა დავუკავშირდეთ, და ხვალისთვის ამოცნობაზე ანთიძის ჩამოყვანა უნდა ვთხოვოთ. ეს უკანასკნელი შანსია. როგორც ვიცი, მხოლოდ მას ჰქონდა ურთიერთობა კრიმინალებთან და სახლშიც დადიოდა მათთან...

დაახლოებით 2 საათში ჯემალ ანთიძის მეუღლე ჩამოიყვანეს სოფლიდან. პასუხისმგებელმა პირებმა მასაც იგივე კითხვა დაუსვეს:

— გეცნობათ თუ არა მიცვალებული?

— არა.

— არასოდეს გინახავთ?

— არა.

— მარტიკიანთან არ ცხოვრობდა?

— მარტიკიანთან ვინც ცხოვრობდა, ის ჩვენთან არ მოდიოდა და ჩვენ მასთან არ მივდიოდით. არ ვიცნობდი, არ ვიცი.

ბათუმის ციხის ადმინისტრაციამ მეორე დღის 12 საათზე უნდა ჩამოიყვანოს ჯემალ ანთიძე, რომელსაც წინასწარი წინასწარი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მთელი ღამე თეთრად გაათენეს პროკურორმა და მილიციის უფროსმა. თუ ანთიძემაც ვერ ამოიცნო, ეს კატასტროფა იქნება — უცნობი ქალის მკვლელობა! გახსნის შანსი ნული პროცენტი... საყვედურები ყველა ინსტანციიდან და უამრავი სხვა.

დათქმულ დროზე ბათუმის ციხის კუთვნილი „ჩორნი ვორონა“ პროზექტურასთან გაჩერდა. ბადრაგმა ხელბორკილდადებული ჯემალ ანთიძე გადმოიყვანა. პროკურორი და მილიციის უფროსი ცდილობენ, არ შეიმჩნიონ ნერვიულობა, რაც აშკარად ეტყობათ მათ თამხლებ პირებს. ანთიძე პროზექტურაში შეიყვანეს.

— გვითხარი, გეცნობა თუ არა მიცვალებული, ტყუილზე „სროკს“ დაიმატებ, იცოდე.

— რატომ დაგიმალავთ, უფროსო? თუ მეცნო, გეტყვით, თუ არ მეცნო, იმასაც გეტყვით.

მიუახლოვდნენ გვამს. პროზექტურის თანამშრომელმა სუდარა გადააძრო. ანთიძე კარგად დააკვირდა, სახე ფაქტობრივად დამახინჯებული ჰქონდა და სისხლჩაქცევები ემჩნეოდა.

(გაგრძელება იქნება)

ალიონი 90

1936 წელი

მოხუცი ენთუზიასტები

ბაილეთის ჩაის პლანტაციებში ყოველდღე დაინახავთ მოხუც კოლმეურნე ქალებს, რომლებიც ახალგაზრდული ენერგიით კრეფენ ჩაის მწვანე ფოთოლს.

80 წლის **მარო ხომერიკი** დღეში კრეფს 12 კილო ჩაის მწვანე ფოთოლს, 60 წლის **სეფორე ზაქარიაძე** –11 კილოს, **ცაცა ხავთასი** (68 წლის) კრეფს –10 კილოს, **ბაბინე მამულაიშვილი** –7-8 კილოს, 63 წლის **მართა დავითაშვილი** კი –13 კილოს, **დაისი ზაქარიაძე** –8-6 კილოს და სხვ.

ისინი აცხადებენ: –„მართალია მოვხუცდით, მაგრამ გული კლვლავ ახალგაზრდული გვაქვს“-ო.

შ. ზ-ძე

მევენახეობის ბრიგადა

შრომაში მევენახეობას დიდი პერსპექტივა აქვს, ამიტომ კოლმეურნეობა ამ დარგს სერიოზულ ყურადღებას აქცევს. ვენახის გაშენებისათვის ჩამოყალიბებულია სპეციალური ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი მეურნე **ა. ხომერიკი.**

ბრიგადა უვლის –10 000 ძირ ვენახს, წელს გაზაფხულზე გაშენდა კიდევ 6.000 ძირამდე. კოლმეურნეობას ამ ვენახიდან ნავარაუდევი აქვს –7-80 ფუთი ღვინის დაყენება.

ი. მჟავანაძე

№36, 29 ივნისი, 1936 წ.

მარიამ გაიმარჯვა

23 ივნისს, ასკანის ჩაის კრეფის ორი ოსტატი **ნატაშა ვასაძე** და **მარია ჯაველიძე** შეეჯიბრა ერთმანეთს ჩაის მეტი რაოდენობით და ხარისხის დაცვით მოკრეფაში.

შედეგი ასეთია: **მარია ჯაველიძემ** მოკრიფა -38 კ.გრ, **ნატაშა ვასაძემ** კი –37 კ.გრ.

მათ არც მოხუცი ქალი **გაინე ნინიძე** ჩამორჩა, რომელმაც მოკრიფა 24 კ. გრ. ჩაის მწვანე ფოთოლი.

№38, 6 ივლისი, 1936 წ.

ფიზკულტურა და სპორტი

გათამაშება ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე

საქართველოს უმარღლესი ფიზ.საბჭოს დადგენილებით აფვისტოში ეწყობა ფეხბურთის სპარტაკიადა.

პირველ კატეგორიაში ითამაშებენ: ტფილისი. ბათომი, ფოთი, სოხუმი და ქუთაისი; ხოლო მეორე კატეგორიაში საქართველოს სხვადასხვა, 30 რაიონის გუნდი და მათ შორის კი **მახარაძის** რაიონის გუნდიც.

აგვისტოს პირველ რიცხვებში სხვადასხვა ქალაქში ერთმანეთს შეხვდება 30 რაინის ფეხბურთის გუნდები, გათამაშება ოლიმპიური სისტემით ჩატარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი დამარცხების შემდეგ გუნდს ეკარგება უფლება შემდეგი მონაწილეობისა. ამ რიგათ, საბოლოოდ გამარჯვებული გამოვა ერთი გუნდი,რომელიც საქ. უმეღლეს ფიხ.საბჭოდან მიიღებს სიგელს, ჯილდოს და უფლებას საქ. პირველი კატეგორიის უკანასკნელ ფეხბურთის გუნდთან შეჯიბრში გამოსვლისა, და თუ ისიც დაამარცხა, ღებულობს პირველი კატეგორიის მოწმობას.

ტ. დუმბაძე,

№44, 22 ივლისი, 1936 წ.

დეპეშა ბახმაროდან

აგარაკ ბახმაროს დირექცია დეპეშით გვატყობინებს, რომ ბახმაროში ყველა ბინა დაკავებულია, ის მოქალაქეები რომლებიც ბახმაროში აპირებენ გამგზავრებას, ნუ იქონიებენ ბინის თავისუფალი შოვნის იმედს.

№45, 26 ივლისი, 1936 წ.

ლაშის აბანო

(წინადადების წესით)

ადამიანს თავის გაჩენის პირველ დღიდანვე, თან დაყვა სხვადასხვა გვარი ავადმყოფობანი, რომლის წინააღმდეგ ის იყენებდა მრავალგვარ საშუალებას, რომელთა შორის ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას და მათ შორის ბალნეოლოგიას ანუ წყლით მკურნალობას, უპირველესი ადგილი ეჭირა.

მედიცინის მამამთავარი **ჰიპოკრატი,** თავის შრომებში, ხშირად იხსენიებს ამ გვარ ფიზიკური მეთოდებით მკურნალობას, რომელსაც კარგი შედეგი მოჰქონდა.

მართლაც, ზოგიერთი დაავადების დროს ბალნეოლოგიურ ანუ მინერალური წყლით მკურნალობას უდიდესი ეფექტი მოაქვს; ეს მაშინ, როდესაც უძლურია სხვადასხვა გვარის თერაპიული საშუალებანი.

საქართველო მინერალური წყაროებით მეტად მდიდარია: ბორჯომი, წყალტუბო, და საირმე მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

ქალაქ მახარაძესაც აქვს სამკურნალო წყარო, რომელსაც ყოველ ეჭვს გარეშე, თუ რესპუბლიკური არა, ადგილობრივი მნიშვნელობა მაინც აქვს.

ამ სამკურნალო წყაროებითი ხალხი დიდი ხანია სარგებლობს, სხვადასხვა გვარ დაავადებათა წინააღმდეგ.

ლაშის აბანოს ქიმიური ანალიზი უკვე ჩატარებულია, ტფილისის ქიმიურ ლაბორატორიაში, ცნობილ ქიმიკოსს კუპცისის მიერ; მასში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ქლოროვანი ნატრიუმი, ქლოროვანი კალციუმი და რაც მთავარია იოდის და ბრომის ნათლად გამოხატული შრეები, –ასეთი ქიმიურ შემად-გენლობის წყალი კარგად მოქმედებს რევმატიზმის, სისხლნაკლებობის და ნევრასტენიით დაავადების დროს.

როგორც ვიცით, განზრახულია ლაშის აბანოდან წყლის მილით გადმოყვანა ქალაქის აბანოში და იქ აბაზანების მოწყობა; **ჩვენი აზრით ეს არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან მეცნიერულად დადასტურებულია, რომ სამკურნალო წყალი, მილში გატარების შემდეგ. კარგავს თავის მკურნალობით ეფექტს, განსაკუთრებით თავის რადიოაქტივობას, რადგან ამ დროს** –ჰაირი –ემანაცია ჰქროლდება და სრულად დაიკარგება.

ქ. მახარაძე ის აღარ არის, რაც იყო წინათ, ყბად აღებული ოღროჩოღრო ქუჩებით, ულამაზოდ ნაშენი ქოხმახებით ძველო ოზურგეთი –არამედ ის მშვენიერდება და კეთილმოწყობილ სამრეწველო ქალაქის სახეს იღებს.

ქალაქ მახარაძეს აუცილებლად სჭირდება მეორე აბანო და სწორედ ლაშის აბანოზე უნდა აიგოს. –ეს ერთდაიმავე დროს იქნება სამკურნალო და ჰიგიენური აბანოც.მით უმეტეს, რომ ის მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ სამრეწველო რაიონში, სადაც აღმართულია ძფსახვევი და საგრეხი ქარხნები და ახლად მშენებლობაში მყოფი ხილის გადამამუშავებელი ვეებერთელა კომბინატი.

ექ. გრ. კუნჭულია.

№45, 26 ივლისი, 1936 წ.

რედაქციისაგან: აღნიშნული აბანო ქ. ოზურგეთში, ამჟამინდელი ჯავახიშვილის №40-ში მდებარეობდა, მიხეილ ბოლქვაძის ეზოში. მიხეილი საფინანსო სამსახურში მუშაობდა –1937 წელს დახვრიტეს. მიხეილის შვილიშვილის მანანა ბოლქვაძის თქმით, სამკურნალო წყალი მლაშე იყო და ამიტომ უწოდებდნენ „ლაშეს“ აბანოებს. ამ აბანოებში იღებდნენ აბაზანებს მძინვარე მალარიის დროს.

უვიცობა თუ ბოროტმოქმედება

ექადიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. კონტრიძე წინასწარ გაუფრთხილებლად და წესდებაში გათვალისწინებული ზომების მიუღებლად აჯარიმებს კოლმეურნეებს შრომა დღეების ჩამოწერით, რაც ეწინააღმდეგება წესდების მე-17 მუხლს.

კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრის ცოცხალი გამწევი ძალა ჯერ კიდევ არაა გაერთიანებული კოლმეურნეობაში. მაგალითად: კოლმეურნე მ. ურუშაძეს დღემდე ყავს საკუთარი ერთი სული ხარი, რაც ეწინააღმდეგება სტალინური წესდების მე-4 პუნქტს.

კოლმეურნეები დღემდე არ არიან გაპიროვნებული სას. სასოფლო ინვეტარსა და ცოცხალ გამწევ ძალაზე,

ალ. სირაძე

№61, 6 სექტემბერი, 1936 წ.

მტკიცედ დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი კანონი

ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამხ. **ლავრენტი ბერიას** მოხსენების განხილვისას გამოირკვა, რომ სტალინური წესდების გატარებაში ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს.

მაგალითად: ლიხაურის და მშვიდობაურის კოლმეურნეობებში არ ახდენდნენ ფეხმძიმე ქალებზე შრომა დღეების დარიცხვას სტალინური წესდების მიხედვით. ქვედა ბახვის, დვაბზუს კოლმეურნეობებში არ ხდება ყოველ ხუთდღიურში ერთხელ შრომადღეების წიგნაკში გადატანა და კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა.

მსგავს მაგალითებს ქონდათ ადგილი ზვანის, ბაღდადის და ბოხვაურის კოლმეურნეობებში. მოხსენების განხილვასაც ერთად კოლმეურნეობებში უკვე ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს.

ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებმა იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებები: მოსავლის უდანაკარგოდ აღება, ჩაის კრეფის გეგმების გადაჭარბებით შესრულება; ციტრუსების სანიმუშოდ მოვლა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება და სხვა.

ვ.ლ.

ხალხის შენიღბული მტრები, კონტრევოლუციონერი ტროცკის უბადრუკი მიმდევრები გარიცხულია პარტიის რიგებიდან

მიტროფანე სალუქვაძე, მოაწერა რა მან ხელი „83“ პლატფორმაზე,1827-28 წლებში აქტიურად მუშაობდა ტროცკისტულ ოპოზიციაში. იგი არჩეული იყო ოპოზიციონერების მიერ საინიციატივო ჯგუფის წევრად, ამზადებდდა ნიადაგს პარტიის წევრებში ხელის მომწერთა შესაგროვებლად „83“პლა-თფორმაზე.

სალუქვაძე პასივობას იჩენდა პარტიულ მუშაობაში, არ ესწრებოდა

კინოთეატრის მშენებლობის დამთავრების პროცესში. ოქტომბერი 1936 წ.

პოლიტსკოლას, დამალა თავისი ტროცკისტული წარსული, ამხ. **კიროვის** ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს თავისი ტროცკისტული წარსულის შესახებ; თავი აარიდა პარტიულ კრებას, სადაც მუშავდებოდა სასამართლოს განაჩენი ტროცკისტულ, ზინოვიევური ბანდის საქმეზე.

* * *

გიორგი ალექსანდრეს-ძე ვაშაყმაძე 1927 წლებში აქტიურ ტროცკისტულ მუშაობას ეწეოდა. ამავე წელს მან მონაწილეობა მიიღო ქობულეთში შემდგარ ოპოზიციონერთა არალეგალურ კონფერენციაში. მან პარტიას თვალმაქცურად დაუმალა ეს. ვაშაყმაძე არის საკოლმეურნეო შრომის დეზერტირი, იჩენდა პასივობას პარტიულ და საზოგადოებრივსაქმიანობაში. ტროცკისტულ-ზინოვევევური ბანდის გასამართლების დროს არ გამოთქვა თავისი აზრი.

* * *

ტფილისში ამხ.კახიანის სახელობის მუშფაკში სწავლის დროს 1927-28 წლებში *დავით ეფიმეს ძე ჭუმბურიძე* ტროცკისტულ ოპოზიციაში აქტიურად მუშაობდა, აშკარად იცავდა ტროცკისტულ თეზისებს, ხელი მოაწერა „83“ პლატფორმაზე, აწარმოებდა აგიტაციას ტროცკისტული ოპოზიციის სასარგებლოდ. მას საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კონტროლის კომისიის მიერ გამოცხადებული აქვს საყვედური არალეგალური ტროცკისტული მუშაობისთვის, მან დამალა თავისი კონტრრევოლუციური წარსული.

***

მიხაკო ვაშაყმაძე 1927 წელს მონაწილეობას ღებულობდა ტროცკისტულ ოპოიციაში, გამოდიოდა პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, მან დამალა თავისი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული წარსული, თავი აარიდა პარტკრებას, როდესაც მუშავდებოდა სასამარ?ოს განაჩენი ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის საქმეზე.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის ბიუროს დადგენილებით ეს ხალხის მტრები, კონტრევოლუციონრები ტროცკისტები, თვალმაქცობისთვის, აქტიურიტროცკისტული მუშაობისთვის გარიცხული არიან პარტიის რიგებიდან.

№66, 22 სექტემბერი, 1936 წ.

ესპანეთის მებრძოლთა დასახმარებლად

17 სექტემბერს, ნატანების ჩაის ფაბრიკაში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 120 მუშა-მოსამსახურე. მიტინგზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა ფაბრიკა „ტრიოხგორკა“-ს მუშა ქალთა მოწოდებამ.

–ესპანეთის ქალები გმირულად იბრძვიან თავისუფლებისათვის –აცხადებს ა. ნაკაიძე. ჩვენ ვიცით, თუ როგორ მხეცურად ექცევა სისხლის მსმელი ფაშისტები ესპანეთის ქალებს და ბავშვებს. ჩვენ ესპანეთის ქალებთან ვართ,ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ.

მუშები თავიანთ სიტყვებში მწვავე სიძულვილს გამოთქვამენ ფაშისტ ბანდიტებისადმი.

მიტინგზე გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება დაეხმარონ ესპანეთის ქალებს და ბავშვებს ერთი დღის ხელფასით. შეგროვილი თანხა 1000 მანეთი გადაირიცხა დანიშნულებისამებრ.

ს. ბილიხოძე, ე. ნადირიძე, ბ. მემარნიშვილი.

მშომელთა წერილები

კულტურას პატივს არ სცემენ

ნაგომრის ხელმძღვანელი ორგანიზაციები უყურადღებოდ ეკიდებიან კოლმეურნეთაკულტურული მომსახურების საკითხს. ფაქტი? ინებეთ!

15 სექტემბერს უნდა გაშვებულიყო კინო-სურათი. კინომექანიკი დღის 11 საათზე მოვიდა. ადგილობრივმა ამხანაგებმა კი არ მიიღეს არავითარი ზომები ეცნობებიათ კოლმეურნეთათვის კინოსურათის გაშვების დრო, არამც თუ ერთი დღით ადრე, არამედ კინო მექანიკის მოსვლის შემდეგაც კი, ამრიგად კოლმეურნეებმა ვერ გაიგეს და არ მოვიდნენ. სურათი აღარ გაშვებულა. ხოლო კინო მექანიკმა თავისი ხვედრი თანხა 30 მანეთი მიიღო და გაბრუნდა.

ეს სირცხვილია, მაგრამ რას იზამ, როცა კულტურას პატივს არ სცემენ ნაგომარში.

დ. უჯმაჯურიძე.

„მუნჯი რადიო“

იანვრიდან „დამუნჯებულია“ რადიო ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის დირექციამ საგრძნობი თანხა გაიღო, მაგრამ რადიო კვლავ დუმს.

–„დატენვაზე არის დაყენებული აკუმულიატორები და ორ-სამ დღეშიიქნება“–ო, აცხადებს რადიოტექნიკი.

ორ-სამ დღეს ბოლო არ უჩანს.

ვ. ორწელი.

№67, 27 სექტემბერი, 1936 წ.

გურიის რესპუბლიკა

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



1. ოზურგეთის მაზრაში შექმნილი ვითარება მოითხოვს იქ სერიოზული სამხედრო ძალის შეყვანას. ნაცვლად ამისა, 17 აგვისტოს რიონის რაზმმა (4.000 ოფიცერმა და ჯარისკაცმა, არტილერიამ) მაზრის ტერიტორია დატოვა. რიონის რაზმის გასვლის შემდეგ მაზრის ტერიტორიაზე დარჩება არტაანის ქვეითთა პოლკის 1 ასეული (70 ოფიცერი და ჯარისკაცი), რაც შექმნილ ვითარებაში სრულიად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა (ი. ლაზარენკო გუბერნატორს შეახსე-ნდა, რომ 1904 წელს ქალაქ ოზ-ურგეთში მსროლელთა 1 ბატალიონი, 1.000 ოფიცერი და ჯარისკაცი, იდგა);

2. ოზურგეთის მაზრაში დაწყებულ მიმდინარე მოძრაობას შეცდომით უწოდებენ აგრარულ მოძრაობას, იგი პოლიტიკური მოვლენაა, რომელსაც ფართო პროგრამა გააჩნია. ეს პროგრამა არსებული წყობილების დამხობას ითვალისწინებს;

3. დადგა დრო, როდესაც აუცილებელი ხდება ცეცხლითა და მახვილით მოქმედება;

4. გურულებმა ფაქტობრივად შექმნეს ფედერაციული რესპუბლიკა;

5. გურული აჯანყებულების მიერ წარმატების მიღწევის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ აჯანყებაში ჩაებას მთელი ადგილობრივი მოსახლეობა;

6. შექმნილი ვითარების ანალიზი გვარწმუნებს, რომ აჯანყებულებთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს და ამდენად საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა შეუძლებელია.

ოზურგეთის მაზრის უფროსი. ლაზარენკოს მოხსენება ხელისუფლებისათვის მეტად სავალალო მდგომარეობას წარმოაჩენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მაზრის უფროსი იყენებს ტერმინს – **„გურიის ფედერაციული რესპუბლიკა"**.

ხელისუფლება გურიაში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნისაგან სხვადასხვა მიზეზის გამო თავს იკავებდა. მართალია, **ნატანებში** განლაგებული გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის რიონის რაზმის ნაწილი ნატანებიდან **ოზურგეთში** გადაიყვანეს, მაგრამ იქ ჯარი უმოქმედოდ იდგა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ როგორც კი ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეი გურიას დატოვებდა, ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ფართომასშტაბიანი სადამსჯელო მოქმედებები დაიწყებოდა. მოხდა პირიქით: როგორც კი კრიმ-გირეიმ გურია დატოვა, ოზურგეთიდან ჯარის გაყვანა დაიწყო და იქ 1905 წლის ივლისის ბოლოსათვის რუსეთის ჯარის არც ერთი ოფიცერი და ჯარისკაცი აღარ იმყოფებოდა. მეტიც, 1905 წლის 17 აგვისტოს ალიხანოვ-ავარსკის რიონის რაზმმა სოფელი ნატანებიც დატოვა. აჯანყებულმა გურულებმა სავსებით სწორად მიიჩნიეს, რომ ეს ხელისუფლების დროებითი უკან დახევა იყო და ჯართან საბრძოლველად სერიოზული მზადება დაიწყეს. 1905 წლის 23 აგვისტოს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსი კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ **ევგენი შირინკინს** მოკლე შეტყობინებას უგზავნიდა. შტაბის უფროსი წერდა, რომ რიონის რაზმის მეთაურის გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მოხსენების თანახმად, გურიაში უმძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი:

1. ოზურგეთის მაზრის ხელისუფლებას და სხვა სახელმწოფო მოხელეებს სიკვდილით ემუქრებიან;

2. მაზრაში შეიტანეს და საბრძოლო რაზმებს დაურიგეს იარაღი;

3. რუსეთის ჯარის დეზერტირები, რომელთა რაოდენობა თითქოს 500 სამხედროს აღემატება, აჯანყებულებს სროლაში ავარჯიშებენ;

4. ოზურგეთზე თავდასხმისათვის შექმნილია 5 რაზმი, გავრცელებული ხმების მიხედვით, ამ რაზმს სათავეში თითქოს ყოფილი ოფიცრები უდგანან;

5. ოზურგეთის გარნიზონი მძიმე მდგომარეობაშია.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ შირინკინს აცნობებდა, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა აგენტურის საშუალებით ამ ცნობების შემოწმების ბრძანება გასცა. მეფისნაცვალს აინტერესებდა, ადგილობრივი მოსახლეობისა და დეზერტირი სამხედროებისაგან ნამდვილად იქმნებოდა თუ არა საბრძოლო რაზმები.

გურიიდან ყოველდღიურად ერთმანეთზე შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა თბილისში. 1905 წლის 26 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი **ნიკოლაევი** კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ **შირინკინს** მოახსენებდა **ჩოხატაურში** შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან დგინდება:

1. 1905 წლის 21 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბნის პრისტავს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსისათვის შეტყობინება გაუგზავნია, რომელიც ადრესატს მხოლოდ 24 აგვისტოს მიუღია;

*2. 21 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, **ჩოხატაურის** უბნის მცხოვრებთ პრისტავისათვის კაცი მიუგზავნიათ და მანიფესტაციის ჩატარების უფლება უთხოვიათ, რაზეც პრისტავს უარი უთქვამს;*

*3. უარის მიუხედავად, 30 წუთის შემდეგ მანიფესტანტები წითელი დროშებით სოფელ **საჯავახოს** მხრიდან დაბა ჩოხატაურში შესულან. ბაზართან მანიფესტანტებს კიდევ შეეგებოდა ხალხი და მანიფესტაცია „მარსელიოზას" სიმღერით მდინარე **სუფსისაკენ** დაძრულა. მდინარის ნაპირას მათ კიდევ მიმატებია ხალხი. სუფსის ნაპირას თავმოყრილ მანიფესტანტებს დაახლოებით ასჯერ გაუსროლიათ ჰაერში რევოლვერებისა და ბერდანის ტიპის თოფებიდან, რის შემდეგადაც შეკრებილები დაშლილან;*

4.მანიფესტაციაში დაახლოებით 7.000 ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის მამაკაცები, ქალები და ბავშვები. მამაკაცების უმრავლესობა რევოლვე-რებითა და ბერდანის ტიპის თოფებით იყვნენ შეიარაღებული, ყმაწვილები – სანადირო თოფებით. მანიფესტანტთა შორის ცხენოსნებიც ერივნენ;

5. პრისტავის ცნობით, მსგავსი მანიფესტაცია უახლოეს ხანებში იყო დაგეგმილი და მის მიზანს სახელმწიფო დაწესებულებებისა და მოხელეების განადგურება წარმოადგენდა.

პოლკოვნიკი ნიკოლაევი მოხსენების ბოლოს გენერალ შირინკინს ატყობინებდა, რომ მან ჩოხატაურში ჩატარებული მანიფესტაციის შესახებ ფარული გამოძიება დაიწყო.

1905 წლის 27 აგვისტოს ლანჩხუთის რკინიგზის სადგურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ჩეპიჟნი ზემდგომ ინსტანციას ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის უბნის მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლის შესახებ მოახსენებდა, რომელშიც 2.500 კაცი(2.000 ქვეითი და 500 ცხენოსანი) მონაწილეობდა. ლანჩხუთის უბნის მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ მოვლენის შესახებ 1905 წლის 28 აგვისტოს ვრცელი მოხსენება შეუდგენია ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს უფროსს, როტმისტრ **სტანნოს.** მოხსენებაში საინტერესო ფაქტებია მოყვანილი:

1. 1905 წლის 27 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ეკლესიის ზარის ხმაზე ბაზრის მოედანზე შეკრება დაიწყეს მამაკაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა;

2. კაცები შეიარაღებული იყვნენ ბერდანის ტიპის თოფებით, შაშხანებით, რევოლვერებითა და ხმლებით, ქალები და ბავშვები – კეტებით;

3. ხალხის შეკრების ოფიციალური მიზანი თითოეული სასოფლო საზოგადოებიდან მაზრის ერობაში 1 წარმომადგენლის არჩევა იყო;

*4. დაახლოებით დილის 8 საათზე ბაზრის მოედანზე თავმოყრილ ხალხს **ჩიბათის** სასოფლო საზოგადოებიდან მოსული შეიარაღებული ადამიანები შეუერთდნენ. ჩიბათელთა შორის 60 ცხენოსანი იყო, რომლებიც შაშხანებით, რევოლვერებითა და ხმლებით იყვნენ შეიარაღებულნი;*

5. ლანჩხუთის ბაზრის მოედანზე შეკრებილები საბრძოლო მწყობრში ჩადგნენ: წინ იდგნენ ცხენოსნები წითელი დროშებითა და რევოლუციური ლოზუნგებით;

*6.ხალხს ჩოხებში გამოწყობილი 4 ქართველი ხელმძღვანელობდა. მათი ბრძანების თანახმად, ხალხის მასა ბაზრის მოედნიდან შოსე გზით სოფელ **ნიგოეთისაკენ** გაემართა. ლანჩხუთიდან 3 ვერსის მოშორებით მათ ნიგოეთიდან დაძრული რამდენიმე ათასი კაცი შეუერთდა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ყველანი ერთ მინდორზე შეჩერდნენ. აქ შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელები დაახლოებით 3 საათს თათბირობდნენ. ხშირად გაისმოდა შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას!"*

7. დღის 2 საათზე ლანჩხუთისა და ჩიბათის მცხოვრებლები ლანჩხუთისაკენ გაემართნენ.გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ისინი ორად გაიყვნენ, ერთი ნაწილი, დაახლოებით 3.000-4.000 კაცი, რკინიგზის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით ლანჩხუთის რკინიგზის სადგურისაკენ დაიძრა, მეორე ნაწილი კი – სოფელ ლანჩხუთისაკენ;

8. რკინიგზის სადგურთან მიახლოებისას ხალხმა შაშხანები და რევოლვერები ზემოთ აღმართა, ზემოთ აღმართეს ხმლები და კეტებიც და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ: "„ირს მეფე, პოლიცია და ჟანდარმერია!" შეი-არაღებული ხალხის ნაწილმა რამდენჯერმე სცადა სადგურზე მყოფ ჟანდარმერიის 5 უნტერ-ოფიცერთან მოლაპარაკება, მაგრამ მეთაურებმა ამის ნება არ მისცეს;

*9. ლანჩხუთის რკინიგზის სადგურში 5 უნტეროფიცრის გარდა, არავინ იყო, ყველა მოხელე მიიმალა. ვახმისტერმა **კაპრანოვმა** რამდენჯერმე ითხ-ოვა სადგურზე სტრაჟნიკთა რაზმის გაგზავნა, მაგრამ ლანჩხუთის უბნის პრისტავ **დემჩინსკისაგან** უარი მიიღო;*

10. რამდენიმე ხნის შემდეგ შეიარაღებული ხალხი რკინიგზის მეორე მხარეს გადავიდა და ლანჩხუთში მიმოიფანტა;

11. მალე ლანჩხუთში სროლის ხმა გაისმა, რომელიც თანდათან გაძლიერდა და საერთო ჯამში 1 საათს გასტანა. სროლის დასრულების შემდეგ, დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე, ხალხი დაიშალა;

*12. 27 აგვისტოსვე მსგავსი შეიარაღებული დემონსტრაცია გაიმართა **სუფსის** რკინიგზის სადგურის ახლოს.*

ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი მოხსენების დასასრულს აღნიშნავდა, რომ მას აგენტებმა სასამართლოს მოხელეებმა და ჟანდარმერიის ოფიცრებმა აცნობეს: შეიარაღებული დემონსტრაციები გურიაში ბევრგან გაიმართა, იქმნებოდა შეიარაღებული რაზმები, მთებში მუშაობდა იარაღის სახელოსნოები, რომლებშიც ამზადებდნენ და შეაკეთებდნენ ხოლმე ცეცხლსასროლ იარაღს; შეიარაღებული რაზმები ხშირად ვარჯიშობდნენ სროლაში; პოლიცია აბსოლუტურად უმოქმედოდ იყო. ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პირველ რიგში, აუცილებლად თვლიდა, რკინიგზის სადგურების: **საჯავახოს, ნიგოითის, ლანჩხუთისა და სუფსის** – გაძლიერებულ დაცვას.

1905 წლის აგვისტოს ბოლოს გურიაში მოსახლეობის დიდი პოლიტიკური აქტივობა შეიმჩნეოდა. კავკასიის პოლიციის გამგის, გენერალ-მაიორ **ევგენი შირინკინის** მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 26 აგვისტოს სოფელ **მაკვანეთში** შეკრებილებმა დაადგინეს: 1. გაუქმდეს გადასახადები; 2. მშობლიური ენა ოფიციალურად იქნას აღიარებული, როგორც სკოლებში სწავლებისა და როგორც საქმის წარმოების ენა; 3. შემოღებული იქნას მმართველობის რესპუბლიკური ფორმა. იგივე დადგენილება იქნა მიღებული 27 აგვისტოს სოფელ **ჩხობში** გამართულ შეკრებაზე.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში შესული აგენტურული ცნობების მიხედვით, ოზურგეთის მაზრაში ჯარში საშემოდგომო გაწვევის ჩაშლისათვის ემზადებოდნენ. თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებდა, მოსახლეობა მზად იყო, იმავე მეთოდით ეპასუხა. ხელისუფლებას განსაკუთრებით აშფოთებდა ის, რომ გურიაში თანდათან იზრდებოდა შეიარაღებული რაზმების რაოდენობა, რომლებიც ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ოზურგეთის მაზრაში რევოლუციონერთა მიერ იარაღის შეტანას ჟანდარმერია და პოლიცია კონტროლს ვეღარ უწევდა. პროპაგანდისტები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ერთი სოფლიდან მეორეში, თანაც არა ღამით და ფარულად, არამედ აგიტაციასდღისით ეწეოდნენ.



გურიის რესპუბლიკის თვითმმართველობა

1. გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სტრუქტურა. გურიაში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობას სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგნენ. ჯერ კიდევ 1901-1902 წლებიდან მოყოლებული გურიაში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი.** გურიის სოფლებში რევოლუციური იდეები ბათუმში სამუშაოდ წასულ მუშებსაც შეჰქონდათ. რსდმპ ბათუმის კომიტეტის დახმარებით შეიქმნა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის სოფლის მუშათა კომიტეტი.** გურიაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაში გარკვეული წვლილი შეიტანა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა.** გურიაში პროპაგანდისტებს ლიტერატურასა და პროკლამაციებს უგზავნიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტი. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობაში სოციალ-დემოკრატებს კონკურენცია ვერ გაუწია რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის იმ ჯგუფებმა, რომლებიც XX საუკუნის დამდეგიდან თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში აღმოცენდნენ. ესერებმა გურიაში რამდენიმე ტერორისტული ჯგუფი შექმნეს, ტერორისტული აქტები განახორციელეს და იარაღის შეტანაშიც მიიღეს გარკვეული მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ესერებმა მოსახლეობაში გავლენა ვერ მოიპოვეს და პოლიტიკური პროცესების წარმართვაშიც ვერ მონაწილეობდნენ.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია(1801-1918) გვ.342-344

ძვირფასო ქალები გილოცავთ თქვენს დღესასწაულებს!

ძვირფასო ქალბატონებო, გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს გილოცავთ!

გისურვებთ ლაღ, სიხარულით სავსე ცხოვრებას, თქვენი მიზნებისა და შესაძლებლობების სრულად რეალიზებას.

გიორგი ღურჯუმელიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

.უდიდესი პატივისცემით ვულოცავ ყველა ქალბატონს 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს. ვუსურვებ თითოეულ მათგანს ბედნიერებას და დიდ წარმატებას.

გიორგი ინწკირველი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს!

ვულოცავ ამ დღეს არა მხოლოდ ქალებს, არამედ ყველას, ვისთვისაც ღირებულია ადამიანის ღირსების, თავისუფლების და თანასწორობის იდეა. გვიგულეთ თქვენს გვერდით და გელოდებით ჩვენს რეაბილიტირებულ თეატრში.

ვასო ჩიგოგიძე,
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს, დედათა და ქალთა დღეებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, თქვენი ოჯახების გაძლიერებას სიყვარულსა და ბედნიერებას!

გელა აროშიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე

ძვირფასო ქალბატონებო, გულითადად გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს, თქვენი ცხოვრების თითოეული დღე ყოფილიყოს გაზაფხულივით მშვენიერი.

გია მამაკაიშვილი
ოზურგეთის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ძვირფასო ქალბატონებო გილოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, სიკეთეს და ბედნიერებას.

ამირან გირკელიძე
ოზურგეთის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი

ძვირფასო ქალბატონებო გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს. წარმატებებით გეცხოვროთ მუდამ, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ.

თამაზ ტულუში,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი. (სოფ. ნატანები).

გაზაფხულის ულამაზეს დღესასწაულებს გილოცავთ ქალბატონებო. გისურვებთ წინსვლას, ჯანმრთელობას, სიყვარულსა და ბედნიერებას.

ლევან ნინიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი. (სოფ. ასკანა).

„ენერგო პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვის ცენტრი გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს!

ავტონაწილების მაღაზია გილოცავთ დედისა და ქალთა დღეებს!

მის: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №3

7 დღის ამინდის პროგნოზი

8 მარტი, ორშაბათი	9 მარტი, სამშაბათი	10 მარტი, ოთხშაბათი	11 მარტი, ხუთშაბათი	12 მარტი, პარასკევი	13 მარტი, შაბათი	14 მარტი, კვირა
მზე, ღრუბელი- -3+8	მზე, ღრუბელი- -1+9	წვიმა +1+7	წვიმა 0+9	ღრუბელი- +2+12	წვიმა +2+10	წვიმა +3+11